თბილისის სააპელაციო სასამართლოს

კერძო საჩივრის ავტორი: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს
წარმომადგენელი ირმა მახათაძე
მის.: თბილისი. საბურთალოს ქ.№7/19.
ტელ: 599717407

კ ე რ ძ ო ს ა ჩ ი ვ ა რ ი

გასაჩივრებული განჩინება: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინება (საქმე №3/8844-2012).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინებით ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს სარჩელზე, მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმართ საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების თაობაზე საქმის წარმოება შეწყდა დავის საგნის არარსებობის გამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარისათვის გადაცემული საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულების გარდა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ სხვა დოკუმენტის მასთან დაცვის შესახებ მოპასუხე მხარის განმარტება საკმარისია გადაცემული დოკუმენტით მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გარემოების დადგენილად ცნობისათვის, რომ მოსარჩელე მხარის განმარტება სხვა დოკუმენტების არსებობის შესაძლებლობის თაობაზე სასამართლოს არ უქმნის მოპასუხე მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად გაუცემლობის დასაბუთებულ ვარაუდს და შესაბამისად მისთვის ქმედების განხორციელების დავალებაზე მსჯელობის საფუძველს.

საქალაქო სასამართლოს მიერ აღნიშნული განჩინება გამოტანილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის ა", "ბ", "გ" და 394-ე მუხლის "ე" პრიმა, 285-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტების დარღვევით. კერძოდ: სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე განჩინებით სასამართლომ ფაქტიურად უარი განაცხადა ასოციაცია "მწვანე ალტერნატივე"-ს სარჩელთან დაკავშირებით მართლმსაჯულების განხორციელებაზე მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განჩინებით დაირღვა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის" ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას . . . ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი

დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგივე უფლებები გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომელიც თავისი შინაარსით გუსლიხმობს არა მხოლოდ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის გარანტიას, არამედ სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლოს უფლებას. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით უხეშად დაირღვა ზემოაღნიშნული სამართლის ნორმები.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომლის თანახმად ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება.ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლი, რომლის თანახმად ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მაშასადამე, საჯარო ინფორმაციის გაცემის დაუშვებლობა მისი ზოგადი ხასიათის გამო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილია საჯარო ინფორმაცია - საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ყველა განკარგულების გადმოცემა, რომლის საფუძველზეც საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს" შორის 2008 წლის 14 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, რომ მოთხოვნა ატარებდა ზოგად ხასიათს, თუმცა მოქმედი კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ განცხადებაში არ მიუთითებია უდავოდ რაიმე დოკუმენტის არსებობისა და აღნიშნულის მისთვის გადაცემის თაობაზე, აქედან გამომდინარე კი არასწორად დაასკვნა, რომ მოსარჩელის მიერ მიცემული განმარტება სასამართლო სხდომაზე, რომ მისთვის ცნობილია ზემოაღნიშნულ განკარგულებაში სხვა ცვლილებების არსებობის შესახებ არ არის შესაბამისობაში ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ საჩივრის შინაარსთან, რომელზეც რეაგირების არარსებობის გამოც იქნა აღძრული სარჩელი.

საქმის სასამართლო განხილვით დადგენილია, რომ მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის არსებობის დამადასტურებლად სასამართლოს წარმოუდგინა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 დეკემბრის №1025 განკარგულება შპს „რუსთავწყალკანალის“ შპს „საქწყალკანალის“, შპს „თბილისის წყალის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ №1 შეთანხმების პროექტის მოწონებისა და ზურაბ

პოლოლიკაშვილისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე. აღნიშნული მტკიცებულებით უდავოდ დასტურდება, რომ მითითებული ცვლილებები აუცილებლად საჭიროებდა ცვლილებების განხორციელებას საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში, რომლითაც პირდაპირი მიყიდვის ფორმით განხორციელდა ზემოაღნიშნული ობიექტების გადაცემა შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედზე". პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქონების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი, ასევე ამ გადაწყვეტილებაში ცვლილებების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირია მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ სასამართლომ ისე შეწყვიტა საქმის წარმოება დავის საგნის არ არსებობის გამო, რომ ამ გადაწყვეტილების საფუძვლად მხოლოდ მოპასუხის განმარტება გაიზიარა, რომელიც არ ეფუძნება არანაირ წერილობით მტკიცებულებას. ამდენად, სასამართლომ სსსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნათა უგულვებელყოფით მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე არ არსებობს დავის საგანი, რაც საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულება მოსარჩელეს ჩაჰბარდა 2012 წლის 20 თებერვალს 13 საათზე ანუ სასამართლო სხდომამდე ერთი საათით ადრე, მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა მხარის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების შესახებ გონივრული ვადით, რათა მას მისცემოდა შესაძლებლობა შეესწავლა ზემოაღნიშნული აქტი და დამატებით წარმოედგინა მოსაზრებები და შესაბამისი მტკიცებულებები საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში განხორციელებული ცვლილებების რეალურად არსებობის შესახებ. აღნიშნულით უხეშად დაირღვა მოსარჩელის საპროცესო უფლებები.

გასაჩივრებული განჩინება მხარეს დადგენილი წესით ჩაჰბარდა 2012 წლის 02 აპრილს, შესაბამისად კერძო საჩივარი წარმოდგენილია კანონით განსაზღვრული 12 დღიანი საპროცესო ვადის დაცვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ:

1. მიიღოთ წარმოებაში კერძო საჩივარი.
2. გააუქმოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

დანართი : სულ „ 01" ფურცელი.

კერძო საჩივრის ავტორი: /ირმა მახათაძე/
10.04.2012წ.